

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ შალვა პაპუაშვილს

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ ნიკოლოზ
სამხარაძეს (ცნობისათვის)

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ

[REDACTED]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე;
- ✓ საგარეო საქმეთა სამინისტროს 06/04/2021 01/8417 და 01/3866 11/02/2022 წერილები.

პატივისცემით,



საქართველოს პარლამენტის პარატი
საქმისწარმოვანი დეპარტამენტი
შემოს. № 1-14761/22
11.11.2022 წ. ფურც. 6

საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე

❖ ცვლილების სახეობა: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ;

❖ კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან 06/04/2021 01/8417 წერილით მიღებული ინფორმაციის თანახმად:

- „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 2006 წლიდან.
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების ეტაპობრივ გამოქვეყნებას. ჩემს მიერ მოთხოვნილი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაწილის გვერდების რაოდენობა, წინასწარი დათვლით აჭარბებს 10 000 (ათი ათასი) გვერდს. თუმცა, მათი რაოდენობა შესაძლოა კიდევ გაიზარდოს“.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული მდგომარეობა კვლავ იქნა დადასტურებული საგარეო საქმეთა სამინისტროს 01/3866 11/02/2022 წერილით, სადაც აღნიშნულია, რომ „სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“ თანამშრომლობით, მიმდინარეობს წინა წლებში სხვადასხვა სახელმწიფოსთან, დადებული გამოუქვეყნებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების ეტაპობრივი გამოქვეყნების პროცესი“. ცნობისათვის: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე მონაცემთა მიხედვით პროცესისას (დოკუმენტის ტიპად - საერთაშორისო ხელშეკრულების მითითებით) 06/04/2021-ს მდგომარეობით სისტემაში ნაჩვენებია იყო 1200-მდე ჩანაწერი, ხოლო 11/11/2022-ს კი 1259 ჩანაწერი. დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩანაწერების რაოდენობა 60-ით გაიზარდა, რომელთაგან დიდი ნაწილი შესაძლოა 2021-2022 წლებში გაფორმებული/ ძალაში შესული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება იყოს.


პრობლემის სიმძაფრე სათანადოდ, რომ იქნეს გააზრებული, მიზანშეწონილია მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი:

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს

კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თფცივალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ. ზემოხსენებული ჩანაწერის შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საკანონმდებლო/ კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ამ მომენტისათვის არის მიღებული ან/და მიიღება საკანონმდებლო წინადადებით წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტამდე, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს საქართველოს იმ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული (სამართლებრივი აქტების პროექტებზე მუშაობისას შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირების მიერ მათ შესახებ ინფორმაციის არქონის გამო) ან/და რამდენიმე ათწლეულის წინ გაფორმებული შეთანხმება შეესაბამება თუ არა საქართველოს კონსტიტუციის ამჟამინდელ რედაქციას;

2. 06/04/2021 01/8417 წერილით განსაზღვრული გვერდების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, საქმე შესაძლებელია ეხებოდეს რამდენიმე ასეულ საერთაშორისო შეთანხმებას. ასე მაგალითად, თუ ვივარაუდებთ, რომ საერთაშორისო შეთანხმების გვერდების რაოდენობა დაახლოებით 5-7 გვერდია და იგი გაფორმებულია 2 ან 3 ენაზე, უნდა ჩავთვალოთ, რომ ერთი შეთანხმებისათვის განსაზღვრული მასალის რაოდენობა სავარაუდოდ არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს, საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე არ იყოს გამოქვეყნებული საქართველოს 500 საერთაშორისო შეთანხმება (დაახლოებით გაფორმებული დოკუმენტების 40%). ასე მაგალითად, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით - საქართველოს მიერ გაფორმებული ორმხრივი საკონსულტო კონვენციებიდან 11 არის ძალაში შესული, თუმცა საკანონმდებლო ვებ გვერდზე ამჟამად მოცემულია მხოლოდ იტალიასთან, უზბეკეთთან, ლიტვასთან, რუმინეთთან, ყაზახეთთან და უკრაინასთან გაფორმებული დოკუმენტები;

3. მხედველობაშია ასევე მისაღები ხელშემკვრელი სხვა მხარის მიერ შეთანხმებით სარგებლობის/ დაყრდნობის შემთხვევა (სამართლებრივ ჩარჩოზე წვდომის პრობლემის არქონის გათვალისწინებით)¹. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველო ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოსათვის მისი ძალაში შესვლის მომენტიდან.



თუმცა, პრობლემა აღნიშნულით არ შემოიფარგლება. საკანონმდებლო ვებ გვერდი არ იძლევა ინფორმაციას სსრკ-ს იმ საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ, რომლის სამართალმემკვიდრე

საქართველოც არის. მაგალითისათვის: აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საკონსულო ურთიერთობების ბიუროს ვებ გვერდზე, იმ ქვეყნების ჩამონათვალს შორის, რომლებთანაც აშშ-ს გააჩნია საკონსულო კონვენცია მოცემულია საქართველოც².

Confederated Independent States Treaty³
Note:

There are no individual bilateral consular conventions with the countries listed. The USSR convention applies to: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Kazakhstan, Kyrgyz Republic, Moldova, Russian Federation, Tajikistan, Turkmenistan, Ukraine and Uzbekistan.

¹ საერთაშორისო საზოგადოების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებადან აღიარებული, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელი და მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, თითოეული ადამიანის პიროვნული თუ პროფესიული განვითარებისა და ზოგადად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობისათვის. ინფორმაციის თავისუფლებაში ასევე უნდა მოიაზრებოდეს სამართლებრივი აქტებისადმი ხელმისაწვდომობაც, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი როლის შემსრულებელი მოქალაქის უფლებების რეალიზაციის პროცესში.

² აღნიშნული არ იყო მოცემული 01/3866 11/02/2022 წერილით მოწოდებულ ჩამონათვალისას

³ იხ. ბმული: <https://travel.state.gov/content/travel/en/legal/travel-legal-considerations/intl-treaties/Bilateral-Consular-Conventions/Confederated-Independent-States-Treaty.html>

☛ იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია: საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მნიშვნელოვანია არამხოლოდ კანონმდებლობის არსებობა, არამედ საკანონმდებლო სისტემის ხარისხიც, რომელიც ფართოდ ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოების ყველა ჯგუფისათვის. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, ელექტრონული საშუალებები ინფორმაციის გამოქვეყნების ყველაზე პრიორიტეტულ ფორმად დამკვიდრდა. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, რომელიც სამართლებრივი აქტების გამოქვეყნების მიზნით 2011 წლიდან გადავიდა ყველასათვის ხელმისაწვდომ, მუდმივად განახლებად ვებ გვერდის გამოყენებაზე. თუმცა, ისმის კითხვა, რა ბედი ეწია მანამდე ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში გამოქვეყნებულ სამართლებრივ აქტებს (ამ შემთხვევაში კი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს), 2011 წლის შემდგომ მოხდა თუ არა უფლებამოსილი ორგანოს მათი განმეორებით მიწოდება (ან უკეთეს შემთხვევაში ბეჭდით ორგანოში შესაბამისი მასალის სრულად მოძიება, საჭიროებისამებრ, განხორციელდა თუ არა შესაბამის ორგანიზაციებთან დახმარებაზე შუამდგომლობა⁴). ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები. საქართველოს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში 2006 წლის 14 აპრილის 2886-ლს კანონით შესული ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს⁵ წარდგინებით ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში:

- ძალაში შესვლის შემდგომ - გამოქვეყნებულიყო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება:

⁴ ამავე კანონის 27-ე მუხლის თანახმად, საქართველოსთვის ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების რეგისტრაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოებში უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ამავე კანონის 28-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დედანი (დამოწმებული ასლი, ოფიციალური თარგმანი) შესანახად გადაეცემა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმოწერის დღიდან 15 დღის ვადაში. ხელშეკრულების დედანს თან უნდა ერთვოდეს ინფორმაცია ხელმოწერ პირთა შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, მათი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

⁵ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და რეგისტრაციას.

- რომლის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა გამოხატა საქართველოს პარლამენტმა ან საქართველოს პრეზიდენტმა. საყურადღებოა 2009 წლის 22 ოქტომბერს მიღებული 1882-III კანონიც, რომლითაც „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებითა შორის ასევე განისაზღვრა, რომ შემდეგი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში⁶ ასევე ქვეყნდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება:

- რომლის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარება არ საჭიროებს საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ თანხმობის გამოხატვას.

ამას გარდა, მოცემული ცვლილება მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ გაჩნდა ვალდებულება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გადაცემის შესახებ. თუმცა, საინტერესოა თუგინდ 14/04/2006-22/10/2009 კანონებს შორის პერიოდში თუ მიეწოდებოდა ბეჭდით ორგანოს ის საერთაშორისო შეთანხმებებიც, რომლის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარება არ საჭიროებდა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ თანხმობის გამოხატვას. ამ პროცესში გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრაქტიკა, რომელიც სავარაუდოდ/ შესაძლოა ბეჭდით ორგანოსათვის ხელშეკრულების ვორდის ფაილში აკრეფილი ტექსტების სახით გაგზავნას გულისხმობდა არ ჩანაცვლდა (ან/და დამატებით არ განისაზღვრა) ხელშეკრულების სკანირებული ასლის მიწოდებით. უმრავლეს შემთხვევაში, საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე არ გვხვდება დოკუმენტის რეპროგრაფიული ვერსია. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც რთული ადმინისტრაციულ-ტექნიკური სამუშაოების ტემპში შეუსრულებლობის გამო საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდის მიღმა რჩება რამდენიმე ასეული საერთაშორისო შეთანხმება, ალბათ უმჯობესი იქნებოდა ამ ტემპის დაწვეამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილი სამსახურისათვის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიეწოდებინა საერთაშორისო შეთანხმებების რეპროგრაფიული ვერსიები სრულად⁷ და იქ სადაც, შეთანხმების ტექსტის აკრეფა დროში

6 მოცემული საკანონმდებლო ცვლილებით აღარ ფიქსირდება ოფიციალური ბეჭდით ორგანოდ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს სტატუსი

7 „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გამოსაქვეყნებლად უნდა გაეგზავნოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებული ნორმატიული აქტი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52¹-ე მუხლის 1¹

იწელება, ვებ გვერდზე გაფორმებულ საერთაშორისო შეთანხმების ჩანაწერზე მიბმულიყო/ ატვირთულიყო დოკუმენტის დასკანერებული ვერსია. თუმცა, გარდა საერთაშორისო სამართლებრივ შეთანხმებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა, აღნიშნული ასევე შეამცირებდა უფლებამოსილი/ დაინტერესებული პირის მიერ არაშესატყვის ტექსტებზე დაყრდნობის რისკებსაც, რომელიც შესაძლებელია გამომდინარეობდეს დოკუმენტების ტექსტების აკრეფის დროს დაშვებული შეცდომით ან/და კიბერ შეტევით⁸. გარდა გაუქვეყნებელი შეთანხმებებისა, პრობლემური (შესაბამისად, სკანირებული ვერსიის გამოქვეყნების საჭიროება) შეიძლება იყოს ასევე „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის შესაბამისად - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის აუთენტური ტექსტები შედგენილია მხოლოდ უცხო ენებზე, ქვეყნდება ამ ენათაგან ერთ-ერთზე, ოფიციალური ქართული თარგმანის თანდართვით. რეალობაში კი შერჩევითი პრინციპით საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე მონაცემთა დამუშავებისას ერთ ენაზე - უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტებთან მიმართებით გვხვდება მხოლოდ ქართულ ენაზე თარგმნილი ვერსიის განთავსების შემთხვევები (შესაძლებელია ინგლისურ ენოვანი ტექსტის მიზმის შემთხვევები გვხვდებოდეს ბოლო 2-3 წლის განმავლობაში გაფორმებულ შეთანხმებებთან მიმართებით). საგულისხმოა, რომ საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ნორმებით შესაძლებელია ისარგებლოს, როგორც საქართველოში მყოფმა უცხოელმა, ასევე, საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმაც (წარმომადგენელმაც). შესაბამისად აუცილებლობა დგება არა მარტო მათთვის გასაგებ ენაზე დოკუმენტის ფლობა, არამედ იმ ენაზეც, რომლითაც დავების წარმოშობისას შეთანხმების დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წარმოშობის შემთხვევაში ისინი შეძლებენ ხელმძღვანელობას (შეთანხმების შეჩერების პერიოდებთან დაკავშირებით ინფორმაციის ფლობასთან ერთად,

პუნქტის შესაბამისად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილ მოთხოვნებს.

⁸ საქართველოში არა ერთი კიბერშეტევა დაფიქსირებულა, არ მხოლოდ ლოკალური მასშტაბის, არამედ ეროვნული უსაფრთხოების კუთხითაც. იქნება ეს 2008 წლის აგვისტოს ომი და რუსული აგრესიის პარალელურად ჰაკერული შეტევები ქართულ სამთავრობო ქსელებსა თუ უწყებებზე, თუ უფრო მოგვიანებით-2019 წელს არანაკლებ მასშტაბური კიბერთავდასხმა ქართულ სახელმწიფო თუ საბანკო სექტორზე.

სასარგებლო შეიძლება იყოს მხარეთა მიერ გაკეთებული დათქმებიც⁹). ალბათ ეს გარემოებაც უნდა გათვალისწინებულ იქნეს უცხო ენაზე გაფორმებული ტექსტის თუ დოკუმენტის რეპროგრაფიული ვერსიის ჩანაწერზე დამატებით მიზმის (ატვირთვა) საჭიროებასაც. ზემოხსენებული გამოწვევების და მათი დროულად გადაჭრის აუცილებლობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნას ცვლილებები. ასე მაგალითად დარედაქტირდეს 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ხოლო მეექვსე პუნქტის შემდგომ დაემატოს ქვემოაღნიშნული რედაქციის მქონე მე-7 და მე-8 პუნქტები:

- პუნქტი 5. „თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი აუთენტური ტექსტი შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულება ქვეყნდება ქართულ ენაზე, რომელსაც თან დაერთვება იმ უცხო ენაზე შესრულებული შეთანხმების ტექსტი ან/და დედნების რეპროგრაფიული ვერსია, რომელსაც შეთანხმების დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება“.
- პუნქტი 7. „ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ერთად, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ასევე გადაეცემა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართ განხორციელებული დათქმები¹⁰“.
- პუნქტი 8. „ძალაში შესულ საქართველოს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე არ არის გამოქვეყნებული ან გამოქვეყნების მიუხედავად შეიცავენ ამ მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრულ ნაკლოვანებებს, ამ მუხლით განსაზღვრული დებულებებით განსაზღვრული პროცედურები საქართველოს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სრულდება 2024 წლის 1 იანვრამდე“.

9 დათქმა – ხელშეკრულების ხელმოწერის, რატიფიცირების, დამტკიცების ან მასთან შეერთების დროს გაკეთებული ცალმხრივი განცხადება, რომელიც გამოხატავს საქართველოს მიმართ ხელშეკრულების გარკვეულ დებულებათა სამართლებრივი მოქმედების გამორიცხვის ან შეცვლის სურვილს.

10 საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის 40-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე ქვეყნდება 30-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.


- ❖ კანონპროექტის მიზანი: კანონპროექტის მიზანია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ავთენტიკური და დებულებათა განსხვავებული განმარტებების შემთხვევაში უპირატესი მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულებებთან და მასთან მიმართებით დაკავშირებულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- ❖ კანონის პროექტის ძირითადი არსი: კანონის პროექტის თანახმად, კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი დარედაქტირდება, ასევე მუხლს დაემატება მე-7 და მე-8 პუნქტები, რომელთა შესაბამისად 2024 წლის 1 იანვრამდე მოხდება, როგორც გამოუქვეყნებელი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე განთავსება, ასევე, იმ დათქმებისა და უცხო ენაზე შესრულებული ხელშეკრულების იმ ვერსიის დანართის სახით განთავსება, რომელსაც განსხვავებული განმარტების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება.
- ❖ საკანონმდებლო წინადადების ავტორი:

საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [REDACTED]

მცხ.: [REDACTED]

ელ. ფოსტა: [REDACTED]

10/11/2022





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო



8417-01-2-202104061557

ს ა გ ა რ ე ო ს ა ქ მ ე თ ა ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

№ 01/8417
06/04/2021

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

ელ. ფოსტა:

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2021 წლის 26 მარტის განცხადების (N9873/01) პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:
საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ქვეყნდება სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka>.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 2006 წლიდან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების ეტაპობრივ გამოქვეყნებას.

თქვენს მიერ მოთხოვნილი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაწილის გვერდების რაოდენობა, წინასწარი დათვლით აჭარბებს 10 000 (ათი ათასი) გვერდს. თუმცა, მათი რაოდენობა შესაძლოა კიდევ გაიზარდოს.

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს: A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს. ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ მზად ხართ გადაიხადოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, რაც წინასწარი დათვლით აჭარბებს 500 ლარს, საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს მზადყოფნას მოგაწოდოთ დაზუსტებული ინფორმაცია ასლის გადასაღები გვერდების რაოდენობისა და თქვენს მიერ გადასახდელი მოსაკრებლის კონკრეტული ოდენობის შესახებ.

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი





საქართველო

3866-01-2-202202110958



საგარეო საქმეთა საინისტრო

№ 01/3866

11/02/2022

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

(მის: [REDACTED])

ელ.ფოსტა: [REDACTED]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2022 წლის 3 თებერვლის განცხადების პასუხად, გიგზავნით განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციას თქვენს მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ქვეყნდება სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე - შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka>. ამასთან, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“ თანამშრომლობით, მიმდინარეობს წინა წლებში სხვადასხვა სახელმწიფოსთან, მათ შორის თქვენს განცხადებაში განსაზღვრულ ორ სახელმწიფოსთან, დადებული გამოუქვეყნებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების ეტაპობრივი გამოქვეყნების პროცესი.

თქვენ მიერ მოთხოვნილი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაწილის გვერდების რაოდენობა შეადგენს 1368 (ათას სამას სამოცდარვა) გვერდს, რაც „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იწვევს 68,40 (სამოცდარვა ლარი და ორმოცი თეთრი) ლარის ოდენობით მოსაკრებლის გადახდას.

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი